

ულტრა მოკლე დაბნეულობის შეფასების მეთოდი [UB-CAM] UB-2/3D-CAM	
ინსტრუქციები: პაციენტს მიეცით დავალებები მითითებული თანმიმდევრობით. პაციენტის კითხვები მითითებულია დახრილი შრიფტით. • დელირიუმის დადებითი ნიშანია ნებისმიერი არასწორი, არ ვიცი, პასუხის გარეშე დატოვება ან აზრს მოკლებული პასუხი. • CAM მახასიათებლები 1-4 მითითებულია შესაბამისად F1, F2, F3, F4-ით.	
მოღიერი ლეთარგია ან ცნობიერების დონის მკვეთრი ცვლილება	
1 ძლიერი ლეთარგია ან ცნობიერების დონის მკვეთრი ცვლილება (ხმაზე/შეხებაზე რეაქციის არ ქონა ან მინიმალური რეაქცია). თუ ესეთი მდგომარეობა, შეწყვიტეთ შეფასება და რეიტინგი. ითვლება რომ პაციენტს აქვს დელირიუმი. თუ ეს მდგომარეობა არ არის, გააგრძელეთ UB-2 სკრინინგი.	შეამოწმეთ ☐
UB-2 სკრინინგი	
2 ორივე კითხვა დასვით	
თუ შეიძლება, მითხრათ, კვირის რომელი დღეა დღეს? (F3) თუ შეიძლება, შებრუნებული თანმიმდევრობით დაასახელოთ წელიწადის თვეები (F2) უკუშობრუნებულით, დეკემბერი იყოთ პირველი თვე. (F2) საკონტროლო პუნქტი: - თუ არცერთი ნიშანი არის დადებითი/შეამოწმეთ და შეწყვიტეთ: პაციენტს არ აქვს დელირიუმი - თუ ერთი ნიშანი მაინც დადებითია/შემოწმეთ, გადადით შემდეგ სექციაზე (3) და მიჰყევით ინსტრუქციას.	
3D-CAM ალგორითმი: ნაწილი 1 - პაციენტის შეფასება	
3 შეფასეთ არაროგანიზებული აზროვნება (მახასიათებელი 3/F3). არაროგანიზებული აზროვნების პირველი დადებითი ნიშნის (შეცდომის) შემდეგ გაჩერდით და გადადით მე-4 სექციაზე. გადაიტანეთ შეცდომები UB2 სკრინინგიდან. გადაიტანეთ: აციენტს არ შეეძლო კვირის დღის სწორად განსაზღვრა? (F3, UB2) თუ შეიძლება, მითხრათ, რომელი წელია ეხლა? (F3) თუ შეიძლება, მითხრათ, სად ვიმყოფებით ამჟამად [საავადმყოფო, რეაბილიტაცია, სახლი და ა.შ.] (F3)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐ ☐
4 ყურადღების შეფასება (მახასიათებელი 2/F2). გაჩერდით და გადადით მე-5 სექციაზე, ყურადღების დეფიციტის პირველი დადებითი ნიშნის (შეცდომის) შემდეგ. გადაიტანეთ შეცდომები UB2 სკრინინგიდან გადაიტანეთ: პაციენტს არ შეეძლო წლის თვეების უკუღმა სწორად ჩამოთვლა? (F2, UB2) თუ შეიძლება, შებრუნებული თანმიმდევრობით დაასახელოთ კვირის დღეები, შაბათი იყოთ პირველი დღე. (F2) გაიმეორეთ ეს რიცხვები საპირისპირო თანმიმდევრობით: "7-5-1" (F2) გაიმეორეთ ეს რიცხვები საპირისპირო თანმიმდევრობით: "8-2-4-3" (F2)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐ ☐ ☐
5 შეფასეთ მწვავე ცვლილება ან ფლუქტუაცია (მახასიათებელი 1/F1). გაჩერდით და გადადით მე-6 სექციაზე, მას შემდეგ, რაც მწვავე ცვლილების პირველი დადებითი ნიშანი დაფიქსირდება: გასული დღის მანძილზე ხომ არ გქონდათ დაბნეულობის ეპიზოდი? (F1) გასული დღის მანძილზე ხომ არ გიფიქრიათ, რომ არ იმყოფებით სინამდვილეში საავადმყოფოში [ან ინტერვიუს ჩატარების ადგილი]? (F1) გასული დღის მანძილზე ხომ არ ზედადვით რაიმე ისეთს, რომელიც სინამდვილეში იქარ იყო? (F1)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐ ☐
3D-CAM ალგორითმი: ნაწილი 2 - შემფასებლის შეფასებები	
6 შეცვლილი ცნობიერების დონის შეფასებები (მახასიათებელი 4/F4). შეჩერდით და გადადით მე-7 სექციაზე, შეცვლილი ცნობიერების დონის პირველი ნიშნის გამოვლენის შემდეგ. პაციენტს აღენიშნებოდა ძილიანობა ინტერვიუს მსვლელობისას? (მოთხოვნა, რომ ისინი მართლა ჩაეძინონ) (F4) აღენიშნებოდა პაციენტს ჰიპერვეგილანტობა? (F4)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐
7 არაროგანიზებული აზროვნების შეფასებები (მახასიათებელი 3/F3). პაციენტი შეფასეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოცემული მახასიათებელი 3-ს პაციენტმა შეფასების ყველა პუნქტზე სწორად გასცა პასუხი. გაჩერდით და გადადით მე-8 სექციაზე, არაროგანიზებული აზროვნების პირველი ნიშნის შემჩნევის შემდეგ. პაციენტის აზრთა ნაკადი გაუგებარი ან ალოგიკური იყო? (F3) პაციენტის მეტყველება გაფანტული, უდავლოდ ჭარბიკცვიანი ან ტანგენციალური იყო? (F3) პაციენტის მეტყველება უჩვეულოდ შეზღუდული ან მწირი იყო? (F3)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐ ☐
8 ყურადღების შეფასებები (მახასიათებელი 2/F2). შეფასეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოცემული მახასიათებელი 2-ზე პაციენტმა შეფასების ყველა პუნქტზე სწორად გაცა პასუხი. გაჩერდით და გადადით მე-9 სექციაზე, როგორც კი შეამჩნევთ ყურადღებობის პირველ ნიშანს. უჭირდა პაციენტს ინტერვიუს მსვლელობისას საუბრის შინაარსისთვის ყურადღების მიდევნება? (F2) გარემოს გაღიზიანებულები პაციენტს ჩვეულებრივზე მეტად უფანტავდნენ ყურადღებას? (F2)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐
9 მწვავე ცვლილების ან ფლუქტუაციის შეფასებები (მახასიათებელი 1/F1). პაციენტი შეფასეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოცემული მახასიათებელი 1-ის ყველა შეფასების პუნქტი უარყოფითი იყო. შეჩერდით და გადადით CAM შეფასების შეჯამებაზე, პირველი დადებითი ნიშნის დაფიქსირებისთანავე ან მწვავე ცვლილების შემჩნევისთანავე ან ფლუქტუაციის გამოვლენისას. მეჩვენებდა პაციენტის ცნობიერების დონე, ყურადღების დონე, მეტყველების/ აზროვნების დონე ინტერვიუს დროს? (F1) თუ პაციენტის საბაზისო შეფასებები არ გავცეს, მაშინ არის რაიმე მტკიცებულება მეხსიერების ან აზროვნების მკვეთრი ცვლილების ჩანაწერების ან ინფორმაციის მიხედვით? (F1) თუ პაციენტის საბაზისო შეფასებები არსებობს, არის თუ არა დელირიუმის რაიმე ახალი ნიშნები ზემოთ მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით (ახალი შეცდომები, დადებითი შეფასებები)? (F1)	შეამოწმეთ, არის თუ არა მახასიათებელი დადებითი. ☐ ☐ ☐
საკონტროლო პუნქტი: CAM დელირიუმის მახასიათებლების შეფასება და შეფასების შეჯამება - აღინიშნება მწვავე ცვლილების და/ან ფლუქტუაციის სულ მცირე ერთი ნიშანი (მახასიათებელი 1) - აღინიშნება ყურადღების დეფიციტის სულ მცირე ერთი ნიშანი (მახასიათებელი 2) - აღინიშნება არაროგანიზებული აზროვნების სულ მცირე ერთი ნიშანი (მახასიათებელი 3) - აღინიშნება ცნობიერების დონის ცვლილების სულ მცირე ერთი ნიშანი (მახასიათებელი 4)	
დელირიუმის CAM კრიტერიუმები: (მახასიათებელი 1 და მახასიათებელი 2) და (მახასიათებელი 3 ან მახასიათებელი 4) არის თუ არა დელირიუმი? დიახ ☐ არა ☐	

This work was created by Edward R. Marcantonio, M.D., SM, Donna M. Fick, RN, PhD, Richard N. Jones, ScD, and Sharon K. Inouye, M.D., MPH, and is licensed under a Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International License. To view a copy of this license, visit <http://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/>

ინსტრუმენტის თარგმანზე და ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირი: დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფ.თამარ მაქარაძე.ელ.ფოსტა:tamrikomacharadze@hotmail.com 09.11.2025

